მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲐᲠᲘᲚᲘ (ᲜᲘᲡᲐᲜᲘ) №4 (403) (5776) 2015

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

4–12 აპრილი ეგვიპტის მონობიდან ებრაელთა განთავისუფლების დღესასწაული. გილოცავთ!

ᲘᲐᲠᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲒᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

ქართულ-ებრაული აზროვნების სათავეებთან

ეძღვნება საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბის ყიმანუელ დავითაშვილის ხსოვნას

დოქტორი იცხაკ დავიდი

ჩვეულებრივ ბუმბერაზი ადამიანის არყოფნას განვიცდით მაშინ, როცა მის არსებას ფიზიკური გარდაცვალება დაეუფლება ხოლმე, მანამ კი იმ შეგრძნებით დავდივართ და ვასრებობთ, რომ თანდაყოლილი სულის სისპეტაკე, რომლის ნაწილიც ჩვენ უნებლიედ ვიყავით, მარადიული იქნება, რომ მუდამ მის მამობრივ კალთებქვეშ ვიქნებით ამოფარებულნი, მისით ვისაზრდოებთ, მისით ვისულდგმულებთ, თუმც კი ყოველივე საცნაურად სასოწარმკვეთია ჩვენს ცხოვრებისეულ ამაოებაში, თითქოს ვიღვიძებთ ანაზდეულად ჩვენი სიზმარისეული ძილიდან და აღმოვაჩენთ, რომ გარკვეულ დროს გაუვლია უკვე, რომ აი, სულიერი ობლობის მარწუხებში ვექცევით თანდათან, ნელი, ჩუმი, უტკივარი გარდაცვალების შემსწრენი...

ასე დაგვტოვა რაბი ყიმანუელ დავითაშვილმა, საქართველოს ებრაელობის მთავარმა მოძღვარმა, ჩვენმა სულიერმა მამამ, მისი გარდაცვალებით რაღაც წითელი შუქნიშანი აინთო ჩვენს დაკორძილ ცნობიერებაში, ჩვენი წარმოსახვები მთელ რიგ მოვლენებსა და გარემოებებზე, ნორმებსა და ფასეულობებზე შეტორტმანდა თითქოს, აი, ეს-ესაა ჩვენც წავიქცევით იმ მოარულ სიცოცხლისეულ ხიდზე, რომელიც ჩვენს წარსულთან გვაკავშირებდა ქვეცნობიერად, წარსული რომელიც მიდის, ისე რომ მომდევნო თაობას, აწმყოსა და მომავლის გაორებული კაეშნის გამოუვალ ჩიხში სტოვებს.

ხომ უტყუარი და ცხადზე უცხადესი ფაქტია ის, რომ უკანასკნელ ხანს სწორედ რაბი ყიმანუელ დავითაშვილი განასახიერებდა ქართულ-ებრაულ ეთნიკურ ერთიანობას, ჩვენი სინამდვილის თითქმის ყველა გარდატეხაში, იგი იყო სიმბოლო ჩვენი თვითმყოფადობისა და ეროვნული არსებობისა. ჩვენს წარმოდგენებში აღიბეჭდა მისი ტიტანური სახე, ჩამოშლილი ფიფქთა თოვლივით თეთრი სპეტაკი წვერი, არაამქვეყნიური შარავანდედით მოსილი, ჩვენ მის კალთებქვეშ ვიზრდებოდით, ჩვენ თბილისელი ებრაელი ბიჭუნები, ვიზრდებოდით იმ სულისკვეთებით, რომ საქართველოსეული სინამდვილე ჩვენი ებრაული მუნმყოვრობისა გარკვეულ მყისიერებაში გაიყინებოდა, ჩვენს დიდ რაბისთან, რაბი ყიმანუელ დავითაშვილთან ერთად, რომ მარადიული იქნებოდა მისი სახის ათინათება თბილისის მშობლიური დიდი ლოცვის კარიბჭესთან, იმ ეზოში, იმ შემოგარენში. მაშინ ვერ ვგრძნობდით დროის სენტიმენტალურ რაობას, სკეპტიკოსები ამასაც კი უარყოფენ, გადააქვთ რა ყოველივეს განცდა და აღქმა საკუთარი ცნობიერების მელანქოლიაზე; არა, სწორედ დროითი ფაქტორია სენტიმენტალური, განუზომლად ღრმა და ამოუცნობი, დამბნევი და დამაწყნარებელი ერთთავად.

ისინი, ვინც უანგაროდ ემსახურებიან ქართულ-ებრაულ ისტორიული სიძველეების შესწავლა-გამომზეურების საქმეს, დაგვეთანხმებიან გარკვეული თეზისის მტკიცებაში: რომ არა საუკუნეების წიაღიდან მომდინარე ქართულ-ებრაული რაბინული აზროვნების ტრადიცია, რომ არა ის, სინამდვილეს გადანასკვული და სულიერ ბრჭყვიალა პრიზმებად აღფენილი მსოფლმხედველობა, ვინ უწყის, რა სახით მოაღწევდა საქართველოს ებრაელობა დღემდის. ის ვინც ამას უარყოფს ან ხელჰყოფს, ის თავის თავის წინაშე სცოდავს, ბრმად მისდევს რა საყოველთაოდ მოარულ მცდარ საზოგადო ეთნიკურ ფორმულებს, ებრაული იდეოლოგიური მსოფლმხედველობითი კონცეფციების ფორმირების სფეროში.

დიახ, ქართველ ებრაელობას ყოველთვის ჰყავდა თავისი არსებობის ყველა საუკუნეში თავისი სულიერი მოძღვარი, თავისი რაბი, თავისი მასწავლებელი, ქართველ ებრაელობას ყოველთვის ჰქონდა კავშირი ვითარც ებრაელი ერის პირველ სამშობოსთან, მის სულიერ პირველ წყაროსთან; სიწმინდეში დაბრუნების სიდიადის ნათელი შეგრძნებით, მის შარავანდედზე ზიარებით.

სიონის სიყვარული მისი უპირველეს ყოვლისა სულიერი, გრძნობითი, იდეალისტური გაგებით და არა მატერიალურ-ხორციელი გამოვლინებით, ერისა და ქვეყნის მარადიული კავშირის ურყეობა თორის პრინციპებიდან გამომდინარე, ღმერთის ცნება ვითარც საყოველთაო ზენაარსისა, რომელიც ყოველივეშია განფენილი და ასევე ადამიანშიც.

ქართულ-ებრაული ტრადიციონალიზმი, ისტორიული ეთნიკური თვით მყოფადობის, დაცვა-შენარჩუნების თვალსაზრისით.

საზოგადოდ, ზემოხსენებული საკითხები განსაზღვრავდნენ ძირითადში რაბი ყიმანუელ დავითაშვილის მრავალმხრივ მოღვაწეობას მშობლიური ქართულ-ებრაული თემის საკეთილდღეოდ, რომლის სიყვარულიც მან თავისივე მშობლების ოჯახიდან ჩაინერგა ახალციხეში, სადაც ის დაიბადა 1908 წელს; ცნობილი საჯაამათო ამაგდარის დავით ბენ ბეხორ დავითაშვილის ოჯახში.

რაბი ყიმანუელ დავითაშვილის მამა, დავიდ დავითაშვილი, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი, ფრიად განსწავლული პირი იყო არა მარტო სამხრეთ საქართველოში (მესხეთი, ახალციხე), არამედ თურქეთშიც. გადმოცემით, რაბი დავიდი ღრმად ერკვეოდა კაბალა-ზოჰარის ჩანაწერებში, ჰქონდა უზადო ორატორული ნიჭი, იყო უნაკლო მოდარაშე და სწორედ ამ ღირსებების გამო მას ხშირად იწვევდნენ თურქეთის ებრაული სეფარადი თემ-ჯამაათები. ამდენად დიდი უნდა ყოფილიყო ხსენებული ქართველი ებრაელი რაბის გავლენა თურქეთში და კერძოდ სტამბოლში არსებულ გარკვეულ ებრაულ კონგრეგაციებზე.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როცა თურქები შემოსულან აწყურში რაბი ყიმანუელ დავითაშვილის მშობლები ბორჯომში გადასულან, აქედან კი ისევ დაბრუნებულან ახალციხეში. „მაშინ, — იხსენებს თავის ბავშვობის პერიოდს ჩვენთან საუბრისას რაბი ყიმანუელ დავითაშვილი, — ათნახევარი წლისა თუ ვიქნებოდი, მამამ ხედერში მიმიყვანა ახალციხის ცნობილ რაბი იეხიზკიელ თეთრუაშვილთან, იქ უკვე სწავლობდნენ ჩემი შემდეგდროინდელი კოლეგები და მეგობრები, ხახამ ბესა ბაბალაშვილი, ბესა ფალაგაშვილი და სხვები. ისინი უკვე საგრძნობლად იყვნენ წინ წასულნი, თავისუფლად მეტყველებდნენ ლაშონ ჰაკოდეშზე. მე ხარბად დავეწაფე სწავლას, მართალია ადრე მამა მამეცადინებდა სახლში, ხუმაშს მაკითხებდა, მაგრამ ღრმა ფართო განათლების მიღება ოჯახის პირობებში არ შემეძლო. 13 წლისას ჩემმა რაბინ თალმიდები ჩამაბარა უკვე. ამ პერიოდში გარდაიცვალა მამა, მეურვეობა ჩემმა უფროსმა ძმამ აიღო თავის თავზე, რომელმაც დაჟინებით გადაწყვიტა ჩემთვის ცოდნა მიეღებინებინა. მან გადაწყვიტა, რომ პატარა თალმიდების მომზადება მე ხელს შემიშლიდა, ამიტომ ჩამომაშორა მათ და რაბი იეხიზკიელს უხდიდა 10 თალმიდის ფულს, რათა დღედაღამ ესწავლებინა ჩემთვის თორა. 14 წლისა ვიყავი, როცა რაბი იეხიზკიელი ახალციხიდან თბილისში გადავიდა საცხოვრებლად, ცადიკი იყო განსვენებული. (კავკასიოლოგიური ცენტრის ფონოტეკა, ფირი ნომერი 003).

მომდევნო პერიოდში, რაბი ყიმანუელ დავითაშვილი სწავლას განაგრძობს ახალციხეში მცხოვრებ ვილნოდან ჩამოსულ რაბი ელიაჰუ ხაიკინთან, რომელიც იმდენად იყო კმაყოფილი თავისი ნიჭიერი აღსაზრდელის წარმატებებით, რომ ახალციხელი რაბი იონათანისათვის უთხოვია ფურიმში მეგილა აკითხეო, ხოლო საკუთრივ ყიმანუელ დავითაშვილისათვის უთქვამს, მომავალ წელს 16 წლისას თება გადმოგეცემაო. ასეც მომხდარა, ახალციხეში ზემო ლოცვა გახსნილა, სადაც ახალგაზრდა რაბი ყიმანუელს დაუწყია ადგილობრივი ებრაული ჯამაათის სამსახური. აღვნიშნავთ, რომ ხსენებული რაბი ელიაჰუ ხაიკინიც ცოტა ხნის შემდეგ თბილისში გადასულა.

16 წლის რაბი ყიმანუელ დავითაშვილს მეგილა უდარაშია, გაუშუქებია ის ბიბლიური ქარგა, რომელზეც ესთერისა და მორდეხაის მოღვაწეობის ისტორიული სიუჟეტია აგებული. ადგილობრივი ახალციხის ჯამაათის სიხარულს საზღვარი არა ჰქონია, მიწიერი სულიერი ხელმძღვანელის წარმოჩენით. ერთ-ერთ წევრს გვარად კაკონაშვილს შეცხადებითაც კი უთქვამს, ნეტა რა გვიხარია, განა ცხადი არაა, რომ მას, ე.ი. ყიმანუელ დავითაშვილს თბილისი მოიტაცებსო, პირიქით, სატირლად უფრო გვაქვს საქმეო. მართლაც, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თბილისის ახალგაზრდა ქართულ-ებრაული საზოგადოება, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოდან იწყებს იქ ფორმირებას, მეტწილად ახალციხიდან ჩამოსული ებრაული ოჯახებისგან შედგებოდა, ეს იყო პირველადი მტკიცე საფუძველი საერთოდ საქართველოს ებრაელობის ყველაზე დიდი, ფართო და ძლიერად ორგანიზებული თემის ჩამოყალიბებისათვის, რომლის მორალური და სარწმუნოებრივი გავლენა, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს ებრაულ ჯამაათებზე მტკიცე და განუზომელი იყო.

რაბი ყიმანუელ დავითაშვილი, როგორც უკვე გვქონდა ზემოთ მითითებული, არ სტოვებდა ყურადღების გარეშე ისტორიული ტრადიციის დაცვა-შენარჩუნებას საქართველოს ებრაელთა წარმომავლობის შესახებ. არაერთ საჯარო გამოსვლაში, კერძო საუბრებში მას ხაზი აქვს გასმული ზოგიერთი ფრიად საინტერესო ფაქტისადმი.

რაბი ყიმანუელ დავითაშვილის თანახმად, ქართველი ებრაელები პირველი ებრაული ტაძრის (ბაით რიშონის) პერიოდში, ასურელთა თავდასხმების შედეგად დევნილ-აყრილ ებრაულ წარმოტყვევებულთა შთამომავლობას წამოადგენენ. მათ წინაპრებს არც უნახავთ მეორე ებრაული ტაძარი, არც მის მოოხრებას მოსწრებიან. „საქართველოს ებრაელები ყოველთვის ინარჩუნებდნენ თავის კავშირს ერეც ისრაელთან და იერუშალაიმთან, — დასძენს რაბი ყიმანუელი, — ხშირად ჩამოდიოდნენ დღესასწაულებზე. (რეგალიმ) ცნობილია ისიც, რომ რაბი აკივაც იყო საქართველოში, ასევე დადასტურებულია ფაქტი თალმუდში თუ როგორ შეხვდა რაბი აკივა მობრუნებული საქართველოდან არმენიაში, არარატის მთაზე, გარდაცვლილის ნეშამას, რომელიც ეკალ-ბარდნარს კრეფდა იქ, აი, ასე მაწვალებენო უთქვამს ნეშამას (ჩანს ცოდვილი პირისა უნდა ყოფილიყო). რაბი აკივა ბარ ქოხბას ეხმარებოდა რომაელთა წინააღმდეგ და სახარების შეგროვების მიზნით ბევრს მოგზაურობდა მეზობელ ქვეყნებში, საქართველოს ებრაელობა ცნობილი იყო თავისი ხელგაშლილობით და უეჭველია საჭირო დახმარებას აღმოუჩენდნენ ერეც ისრაელიდან ჩამოსულს. (ფონოფირი ნომერი 003).

რაბი ყიმანუელ დავითაშვილმა აგრეთვე თვალნათლივ წარმოაჩინა ის გარემოება, რომ ქართველი ებრაელები არ არიან წარმოშობის თვალსაზრისით არც სეფარადები და არც აშქენაზები. ამასთან დაკავშირებით იგი ხაზგასმით ამბობდა: „ჩვენ ხომ ესპანეთში არ დავიბადეთ, არც გერმანიაში დავბადებულვართ, რის გამოც არა ვართ აშქენაზები, ვიტყვით მხოლოდ, რომ ებრაულ თემჯამაათებში გავრცელებული სალოცავი ნუსხებიდან ჩვენ სეფარადელთა ნუსახი მივიღეთ ნაწილობრივ“ (იქვე).

1980 წლის 4 ნოემბერს, ხოლონში გამართულ შეხვედრაზე რაბი ყიმანუელ დავითაშვილთან იქ დამსწრე ჩვენმა ამაგდარმა კოლეგამ, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ მოშე დანიელოვმა საინტერესო საკითხი აღძრა ქართველი ებრაელების ენობრივი კილოკავებისა და სამეტყველო ჩვეულებების შესახებ. მრავლისმთქმელი იყო რაბი ყიმანუელ დავითაშვილის პასუხიც. „სხვადასხვა ადგილებსა და რაიონებში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს საქართველოში თავისებური მეტყველება ახასიათებდათ, უეჭველია ეს შედეგი იყო სათანადო ადგილებში გავრცელებული ძირითადი სამეტყველო ენების კილოკავების გავლენისაც. ქართულის გარდა, თურქულის, თათრულის, სომხურისა და სხვა. ცნობილია ისიც, რომ ქართველი ებრაელები საკმაოდ კარგად ფლობდნენ აღნიშნულ ენებს, ისინი ხშირად დადიოდნენ თურქეთის, სომხეთის, სპარსეთის მოსაზღვრე ქალაქებსა თუ სოფლებში: ყარსი, ალექსანდროპოლი... მაგალითად, ახალციხელი და ფოცხოველი ებრაელები კარგად ფლობდნენ თურქულს, ლოცვაშიც კი ფასუკებისას თურქულ ენას ხმარობდნენ, მაგალითად ფარად-აჩმასი ე.ი. ფარდის გახსნა, სეფერთი-აჩმასი — სეფერთორის გამობრძანება და ა.შ. ეხებოდა რა იმავე საუბარში მოშე დანიელოვის მიერ აღძრულ საკითხს გურია-ხევსურეთის სახელდებითი კავშირის შესახებ „ურია-ებრაელთან“ და ასევე სვანეთის შესახებ დაცულ ტრადიციას, რაბი ყიმანუელი მიუთითებდა საკუთრივ სვან მოსახლეობაში გავრცელებულსა და მოარულ აზრზე მათი წინაპრების ებრაელებისაგან წარმოშობის შესახებ. საილუსტრაციოდ მოჰყავდა ცაიშელი სვანების მაგალითი, რომლებსაც ჩვეულებად ჰქონდათ გვალვის დროს ებრაული ხელნაწერის გამოტანა, ანდა, როცა ვინმე წაეჩხუბებოდა მათ, ასე შესძახებდნენო, წადით თქვე ურიებო.

საზოგადოდ კი აჯამებდა რა ისტორიულ ტრადიციას საქართველოს ებრაელთა ეთნიკურ წარმომავლობაზე, რაბი ყიმანუელ დავითაშვილი მტკიცედ იცავდა აზრს მათ საქართველოს სხვადასხვა კუთხე-რაიონებში (ცხინვალი, კულაში, ქუთაისი, ლაილაში, ლეჩხუმი, ახალციხე და ა.შ.) მოსახლე ებრაელების ერთობლივი წარმოშობის შესახებ. საყურადღებოა აგრეთვე, რაბი ყიმანუელის ახალციხურ პერიოდთან დაკავშირებით, მისი მოგონებები ახალციხელ რაბებზე, რომელთაც იგი ახასიათებდა უაღრესად მოკრძალებულ, სათნო და ღვთისმოშიშე პირებად. ერთ-ერთ მათგანზე, რაბი იოსეფ დავითაშვილზე (დაწვრილებით იხ. კავკასიონი ნომერი 2; ი. დავიდის ნაწერები, ტომი 1, 1976 წ. და სხვა ებრაულენოვანი გამოცემები) იგი ამბობდა: „მას ხელმწიფე ნიკოლოზის კვერთხი

ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს

თქვენო აღმატებულებავ,

გულწრფელად გილოცავთ პარტია „ლიკუდის“ გამარჯვებას ისრაელის საპარლამენტო არჩევნებში. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სანიმუშო ლიდერობა და ქვეყნისადმი ერთგულება უზრუნველყოფს ისრაელის სახელმწიფოს წარმატებას, მშვიდობასა და კეთილდღეობას.

ჩემთვის სასიხარულოა, რომ ისრაელსა და საქართველოს შორის ისტორიულ მეგობრობას ასაზრდოებს ჩვენი ნება და სწრაფვა, გავაღრმავოთ ჩვენი პარტნიორობა. ამის გათვალისწინებით, იმედის თვალით შევეურჩებ ჩვენს ურთიერთობებში შემდგომ წარმატებებს მომდევნო თვეებსა და წლებში.

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი პატივისცემა და გისურვოთ თქვენ და ებრაელ ხალხს წარმატება და წინსვლა.

პატივისცემით,
ირაკლი ღარიბაშვილი
თბილისი - 2015 წლის 19 მარტი

ჰქონდა მიღებული საჩუქრად, საქართველოს მთავარმართებელი მეფისნაცვალი „ველიკი კნიაზ“ მიხეილი ხშირად იყო რაბი იოსეფ დავითაშვილის სტუმარი. ტრადიციისამებრ ფესახის წინა ღამეს ახალციხეში თავს იყრიდა მის გარეუბნებში განლაგებული ნაწილები 100-120 ებრაელი ჯარისკაცი, რაბი იოსეფ დავითაშვილი გულდაგულ ზრუნავდა მათ განაწილებაზე ჯამაათის წევრებს შორის საფესახო სედერზე დასასწრებად. ერთხელ 20 ებრაელი ჯარისკაცი დარჩენილა განაწილების გარეშე, რაბი იოსეფს უბრძანებია ყველა ჩემთან წამოიყვანეთო სახლში“. — იგონებს რაბი ყიმანუელი.

1937 წელს, რაბი ყიმანუელ დავითაშვილი ახალციხიდან თბილისში გადმოდის. ამიერიდან იწყება მისი თბილისური მოღვაწეობის პერიოდი, რომელთანაც დაკავშირებით იგი ამბობს — „1937 წელს თბილსში ჩამოვედი, ჯამაათმა გადაწყვიტა ჩემი გადაყვანა, იმ წლებში (1940-1950) თბილისის ქართველ ებრაელთა საზოგადოების თავმჯდომარე ხაიმ იცხაკის-ძე დავითაშვილი იყო (წინამდებარე ნარკვევის ავტორის მამა — ი.დ.) მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საჯამაათო და საზოგადოებრივი საქმეების წარმატებით წარმართვაში, ყველა საისრაელო საქმეს ხელმძღვანელობდა. მან ყველა ღონე იხმარა ჩემი თბილისში ჩასაწერად, მაშინ ფრიად იყო გაძნელებული დედაქალაქში ჩაწერა, ხაიმ დავითაშვილის წინადადებით საზოგადოების გამგეობამ მთავარ რაბიდ დამნიშნა და მე სამუდამო საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი“, (კავკასიოლოგიური ცენტრის ფონოფირი ნომერი 003).

შემდგომში საზოგადოების თავმჯდომარედ დანიშნულმა რეფაელ კაცობაშვილმა თხოვნით მიმართა თბილისში მცხოვრებ მსოფლიო მნიშვნელობის უდიდეს თალმუდისტსა და ღრმად განსწავლულ აშქენაზ რაბის ხაიმ კუბჩანს (წარმოშობით კრემენჩუგიდან), რათა მას გაეღრმავებინა რაბი ყიმანუელის პიროვნებამ, სრულყოფილებამ უზადო ორატურულმა ნიჭმა, საკითხების ანალიზის უნარმა, მას გზა დაულოცა. აგრეთვე თბილისის მთავარმა რაბინ იაკობ ნამთალოვმა. ამას ადასტურებდნენ თბილისის საზოგადოების ღვაწლმოსილი წევრებიც დავიდ აბაჯანოვი და ხაიმ შაოშვილი.

მეორე მსოფლიო ომის დროს რაბი ყიმანუელი სამხედრო სამსახურში იყო გაწვეული 1942-1944 წ.წ. მოქმედ ნაწილში იგი დაიჭრა მკლავში, ტყვიამ ფილტვის არეც გაიარა ისე, რომ მერე ვერც იპოვეს იგი.

ომის დამთავრების შემდეგ რაბი ყიმანუელი ისევ უბრუნდება მშობლიურ ჯამაათს. 1940-იანი წლების ბოლოს, ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების პერიოდში იგი ახალი ეროვნული სულისკვეთებით აფასებს მიმდინარე მოვლენებს, ზრუნავს საქართველოს ებრაელებში საღი ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათვის; მას წლების განმავლობაში ჰქონდა ახლო დამოკიდებულება 1940-იან წლებში თბილისში მოღვაწე რაბი დავიდ ბააზოვთან, საქართველოში სიონისტური მოძრაობის ხელმძღვანელთან. რაბი ყიმანუელი ობიექტურად აფასებდა დავიდ ბააზოვის როლს და წვლილს საქართველოს ებრაელთა თვითორგანიზაციის საქმეში, განსაკუთრებით უსვამდა ხაზს დავიდ ბააზოვის მოღვაწეობის ახალციხურ პერიოდს, რომლის პირადი შემსწრეც თვითონვე იყო.

საქართველოში დატრიალებული 1950-იანი წლების ორომტრიალში რაბი ყიმანუელ დავითაშვილი თავისი ჯამაათისა და ლოცვის სადარაჯოზეა, მაშინ როცა კეტავდნენ ბრმა, გაუცნობიერებელი მითითებების თანახმად თბილისის სალოცავებს, როცა პირქვე ატრიალებდნენ თორის გრაგნილებს, როცა ძირს ცვიოდა და ითელებოდა ებრაული ხელნაწერები და პერგამენტები, წიგნები და წმინდა საგნები რაბი ყიმანუელ დავითაშვილი საკუთარი თავის განწირვით ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თავიდან ასცილებოდა საქართველოს ებრაელობას მძიმე განსაცდელის ჟამი. ასეთი თავგანწირვა მას საკუთარი ჯანმრთელობის ფასადაც უჯდებოდა. მისმა მტკიცე რწმენამ, პირდაპირობამ, სულის სისრულემ, დასახული მიზნების სიმართლემ, მას გამოაძლევინა პატიმრობის წლები, არაერთი დაკითხვა, არაერთი ბრალდება თუ ცილისწამება, მან იცოდა, რომ ემსახურებოდა ქართველი ებრაელების ეროვნული მიზანს, მათ ნაციონალურ სულისკვეთებას. საზღაურიც მშობლიური თემიდან დიდზე დიდი იყო — ხალხს იგი უყვარდა, აფასებდა, სჯეროდა მისი, მიჰყვებოდა მას.

ჩვენს წინაშეა 50-ანი წლების ერთი ძვირფასი ეპისტოლარული დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს სოციალისტური საბჭოეთის წინაშე მრავლისმთქმელი დამსახურების მქონე პირი, წარმოშობით ქართველი ებრაელი აბრეკ ბათოშვილი, რომლისთვისაც რაბი იმანუელ დავითაშვილი უდიდეს, ძნელად წარმოსადგენ, კეთილშობილების ზღვარს გადაცილებულ გულისხმიერების მქონე ადამიანს წარმოადგენს, რომლის რწმენაც შეურყეველია და შეუბღალავი, უბიწო სულით, გონებით და შეგნებით, უსრულყოფილესი, უკიდეგანო გულით. ადამიანი, რომლისთვისაც თავის მოყვასისათვის ზრუნვა სიცოცხლის მეორე ნაწილად გადაქცეულა, რომლის სიდიადეც უშუალოდ ზემოქმედებს ადამიანზე, ერთგვარად თითქოს კიდეც თოკავს მას. ენას უბორძიკებს, ქვეშეუცნობ მდგომარეობაში აყენებს, ათრთოლებს, მოწიწებისა და რიდის გრძნობას წარმოშობს მასში. „თქვენ, — დასძენს შემდეგ ა. ბათოშვილი, — როგორც ბუმბერაზ ადამიანს გინდათ თქვენს სიმაღლეზე ასწიოთ ყველა თქვენთან კავშირში მყოფნი, გსურთ ყველა თქვენისამებრ კეთილი, მართებული და სინდისიერ-პატიოსანნი იყვნენ, რაც თავისთავად ცხადია კეთილშობილურია და სასურველიც... ჩვენ, რომ ვერ გიგებთ ხოლმე კანონზომიერია. ხოლო თქვენ, რომ ნაკლებ შემწყალებელი და შემწყნარებელი იყოთ, ეს ერთგვარი, რაღაც უცნაურობა იქნებოდა და ვგონებ დიდსულოვანი ადამიანის მთლიანობის დარღვევაც. ბედნიერება სწორედ იმაში არსებობს, რომ თქვენ ლმობიერიც, შემწყნარებელი და შემწყალებელიცა ხართ!.. (იხ. კავკასიოლოგიური ცენტრის ფ. ნომერი 003).

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იბრეკ ბათოშვილის ზემოყვანილ სიტყვებს, ყველა ის, ვინც კი იცნობდა რაბი იმანუელ დავითაშვილს და ჩვენც, მომავალი თაობა მისი სულიერი თვალსაწიერის ქვეშ რომ ვიზრდებოდით, მისი სახენათიერებით რომ ვიკვებებოდით, ჩვენც ვიყავით მოწმენი მისი თბილისური დამოძღვრა ღაღადისა, დაურღვეველი იყო თითქოსდა სინთეზური წარმოჩენა მისი თბილისის დიდი ლოცვის კედლებს გარეთ, ის იყო მაშინ თითქმის ყველაფერი, მოძღვარიც, დამრიგებელიც, მასწავლებელიც, ზნეობის შინაგანი სულიერი ფასეულობების დაძაბვით ხალხის სწორ გზაზე დამყენებელი, მას მიმართავდნენ არა მარტო საქართველოს რაბინები და ჯამაათის ხელმძღვანელები, არამედ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის ებრაული თემების სულიერი ხელმძღვანელებიც, მასთან ჩამოდიოდნენ სტუმრად ისრაელის სახელმწიფოს ოფიციალური წარგზავნილები საბჭოთა კავშირში, მოსკოვში რომ იყვნენ აკრედიტირებულნი. მოგვიანო პერიოდში, გამგეობის თავმჯდომარე ეფრაიმ ფალაგაშვილთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობდა ახალგაზრდა კადრების წინწამოწევა დაწინაურებაში. ცნობილია ფაქტი, რომ რაბი იმანუელ დავითაშვილს დიდი წვლილი აქვს შეტანილი მოსკოვის უმაღლესი ებრაული სასულიერო სასწავლებლის — იეშიბის შექმნა — დაარსებაში (რაბი შფილერთან ერთად) მას ახლო კავშირი და კორესპონდენციების გაცვლა-გამოცვლა ჰქონდა რუსეთში მცხოვრებ რაბინებთან.

რაბი იმანუელ დავითაშვილმა იცოდა თავისი საკუთარი ერის ფასი, მაგრამ სხვა ერებსაც აფასებდა იგი, მადლიერი იყო იგი ქართველი ხალხისადმი, მოკრძალებით ეპყრობოდა მის სასულიერო ხელმძღვანელობას და ხსენ-პატივისცემა და მოკრძალება საურთიერთო იყო. მის პირად დამსახურებად უნდა ჩაითვალოს 1950-იან წლებში საქართველოს ქრისტიანული ეკლესიის მესვეურებთან ლოიალური ურთიერთობების დამყარება და განვითარება. მას სწამდა ერთი საერთო უზენაესი ღმერთის არსებობა, რომელსაც ყველა ხალხი, ყველა ერი თავისებურად წარმოიდგენდა და ემსახურებოდა.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს იმ ხანებში, მალქიცედეკ მესამეს, არაერთხელ მიუწვევია რაბი იმანუელ დავითაშვილი საქართველოს ეკლესიის ოფიციალურ დარბაზობებსა და მიღება შეხვედრებზე. (ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის შესახებ საქართველოში ვაზგენ მეორის ჩამოსვლასთან დაკავშირებით თვითონ განსვენებულმა რაბიმ გვიამბო. ხსენებულ შეხვედრაზე მალქიცედეკ მესამეს წარუდგენია რაბი იმანუელ ვაზგენისათვის და ხმამაღლა განუცხადებია: „ჩვენ ხომ მორწმუნე ხალხი ვართ, მაგრამ აი, ებრაელები რწმენაში ჩვენ გვჯობიანო“ — (კავკასიოლოგიური ც. ფონოფირი ნომერი 003).

შემდეგ, როცა მალქიცედეკ მესამე გარდაიცვალა და მისი სულის წირვა შედგა სიონის დიდ ეკლესიაში, სადაც მისი ნეშტი იყო დასვენებული, საქართველოს ებრაელთა ოფიციალურ წარმომადგენლად იქ წარგზავნილნი იყვნენ რაბი იმანუელ დავითაშვილი და გამგეობის თავმჯდომარე ეფრაიმ ფალაგაშვილი. მე პირადად მახსოვს, ბავშვი ვიყავი, ცნობისმოყვარეობა შეპყრობილმა იქით სიონის ეკლესიისაკენ გავწიე, მთელი ის არემარე ზღვა ხალხს ვერ იტევდა, ქვემოთ ეკლესიაში ჩასვლას ვინ მოახერხებდა, იმდენი მაინც შევძელი, რომ ჩამეხედა რა ხდებოდა იქ დაბლა, დაუვიწყარი იქნება ის სანახაობა; განსვენებული ქართველი პატრიარქის ნეშტის წინ, რუსეთ-საქართველო-სომხეთის მაღალი მღვდელმსახურებითა და ოფიციალური პირებით გარშემორტყმული იდგა, საქართველოს ებრაელების სახელით სიტყვას წარმოთქვამდა რაბი იმანუელ დავითაშვილი, რაღაც. საოცრად პარადოქსალური იყო თითქოს მისი ქათქათა თეთრი წვერის ლივლივი, სიონის ეკლესიის მოთიაგე ოლარებით ასხივოსნებული შუქნათიერების ფონზე.

რაბი იმანუელ დავითაშვილმა შესანიშნავად იცოდა, ებრაული სარწმუნოების ფასი, მისი პრინციპები და ნორმები, მისი სიღრმე და ვრცეულობა. მას სწამდა ებრაელი ერის მესიანისტური სულისკვეთებისა, სწამდა მესია-მაშიახის განგებლივი ძალა, დროითი ფუნქციონალურობა, რომელსაც ეს ცნება შეიცავდა თავის თავში: „განა ჩვენი თორა და სარწმუნოება, — უხსნიდა იგი ერთ-ერთ პატივცემულ პროფესორს — ოური აპრუდენტს, — ეწინააღმდეგება რომელიმე ქვეყნის და მათ შორის საბჭოთა კავშირის ოფიციალურ იდეოლოგიას ან მსოფლმხედველობას?!, განა რუსეთი არ იბრძვის ომის საშიშროების აღკვეთისათვის?! და განა ებრაელ წინასწარმეტყველებთან არ ვხედავთ სწრაფვას ადამიანთა და ხალხთა მშვიდობიანი თანაარსობისაკენ?! განა იეშაიაუსთან ნახსენები ფრაზა — „ლო ისა ‘ოდ გოი ხერევ ველო ილმედუ ‘ოდ მილხამა“ (ე.ი. აღარ აღმართავს ერი ერზე მახვილს და აღარ ისწავლიან ომს...) არ მიუთითებს მაშიახის ამოცანებრივ მიზანდასახულობაზე? ყველა ერს ხომ საბოლოო ჯამში თავისი საკუთარი მაშიახი სწამს!..)“.

(დასასრული იქნება)

მამუკა ბუცხრიკიძე: დიდია ინტერესი ებრაული ფენომენის მიმართ

19 თებერვალს მოძრაობის თეატრისა და გამომცემლობა „არტანუჯის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში წიგნის „თანამედროვე ებრაული დრამატურგიის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ქართულ ენაზე ებრაისტმა მამუკა ბუცხრიკძემ თარგმნა. გაზეთი „მენორა“ ბატონ მამუკა ბუცხრიკიძის მრავალმხრივი მოღვაწეობით დაინტერესდა და მას ქართულ-ებრაულ ცენტრში ეწვია.

— ბატონო მამუკა, თავდაპირველად ვისაუბროთ ქართულ-ებრაული ცენტრის მუშაობაზე, სადაც ახლა მე ვიმყოფები. რით არის დაკავებული ცენტრი, რა პროექტებს, ღონისძიებებსა და აქტივობებს ახორციელებს?

— ქართულ-ებრაული ცენტრი ეს არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შ.პ.ს., რომელიც ჩემი დაფუძნებულია. ცენტრის ფუნქციები, ძირითადად, მოიცავს თარგმნას, ტურიზმსა და ულფანს- ებრაული ენის შემსწავლელ კურსებს. მსურველებს ვასწავლით ებრაულ ენას იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ულფანის სასწავლო მასალით, სადაც ყველაზე მაღალი დონის ულფანია და ამიტომ იქაური მასალა საუკეთესოა. ჩვენ მოვახერხეთ და მოვიპოვეთ აღნიშნული სასწავლო მასალა თითქმის სრული მოცულობით. ებრაული ენის შესწავლა სულ 6 დონედ იყოფა, სტანდარტულად თითოეული დონის შესწავლას 3 თვე სჭირდება. მეცადინეობები იმართება შეთანხმებისამებრ, ეს ეხება ინდივიდუალურ ,თუ ჯგუფურ მუშაობას, გაკვეთილების სიხშირეს და ა.შ. ჩვენ ვცდილობთ, რომ სასწავლო ცხრილი მორგებული იყოს თითოეული მოწაფის ინტერესებზე.

— რამდენი ხანია რაც არსებობს ქართულ-ებრაული ცენტრი და რას გულისხმობს ჩამონათვალში მითითებული ტურიზმის გრაფა ?

— ცენტრი დაახლოებით 2 წელია მოქმედებს. რადგან ცენტრი წარმოდგენს შ.პ.ს.-ს, მას აქვს კომერციული მიზანი - გაყიდოს გარკვეული პროდუქტი. ჩვენს შემთხვევაში, გარდა ებრაული ენის სწავლებისა, ეს არის ტურიზმიც. ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება უკვე დაგვიგროვდა - გვყავდა რამდენიმე ტურისტული ჯგუფი, რომელთაც მთელი საქართველოს მასშტაბით გავუწიეთ მეგზურობა. გვაქვს 3, 5, 7 დღიანი ტურები. იყო შემთხვევა, როდესაც პირადად მე მყავდა 75 კაციანი ჯგუფი ერთდროულად. ამას თან ახლდა სირთულეები, მაგრამ სწორედ ამ სირთულეებში იმალება ბევრი საინტერესო. თავისთავად ძალიან სასიამოვნო მომენტია, როდესაც შენს ქვეყანას, შენი ქვეყნის ღირსებებს აცნობ უცხოელებს.

— რამდენი ადამიანია დასაქმებული ცენტრში?

— დასაქმება ძალიან სპონტანური ხასიათისაა, საჭიროების მიხედვით, მუდმივი თანამშრომლები არ გვყავს.

— რა იყო ცენტრის დაფუძნების მიზეზი და მიზანი?

— პირადად მე დიდი ხანია ვმუშაობ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვარ ებრაისტი. წლების მანძილზე ვვითარდებოდით და ვმოქმედებით მხოლოდ თეორიული ხაზით, გამუდმებით ვსწავლობდით. ვერ ხერხდებოდა ჩვენი ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, რეალიზაცია. რადგან დღეს სიტუაცია სხვაგვარია, თავისუფალი ბაზარია და სასწავლო დაწესებულება არ უზრუნველყოფს სტუდენტის დასაქმებას, ჩვენ გადავწყვიტეთ ეს ცოდნა არ გამოგვეკეტა აუდიტორიებში და უშუალოდ შევხებოდით შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, გადავწყვიტეთ „შუაგულ ბაზარში“ აღმოვჩენილიყავით, მიგვეცა შესაძლებლობა ჩვენი პროდუქტით დაინტერესებული ხალხისათვის მოსულიყვნენ ჩვენთან. ეს ქმნის ახალ ურთიერთობებს, შესაძლებლობებს, რაც, თავის მხრივ, ბევრად საინტერესოს ხდის ცხოვრებას.

— რახან ბაზარზე ვსაუბრობთ და ეს საქმიანობაც ერთგვარ კომერციულ პროდუქტად შეფუთეთ, რამდენად დიდია დაინტერესება, სტუდენტების აქტივობა ამ მხრივ ?

— ცნობილია: „არა პურითა მხოლოდ ცხონდების კაცი“- ეს ებრაულადაა ნათქვამი, რომელსაც აქვს თავისი ანტითეზა ისევ ებრაულად: „არ არსებობს თორა [ანუ ცოდნა] პურის გარეშე“. თითქოს ეს ორი ნათქვამი აბათილებს ერთმანეთს, მაგრამ, პირიქით, სინამდვილეში ერთმანეთს ავსებს. ორივე საჭიროა, ეს რეალობაა და არ გამოგვადგება თავი ქვიშაში ჩავრგოთ. მთავარია მოვახდინოთ ამ სურვილთა დაბალანსება. სხვა შემთხვევაში ამაში ცუდი არაფერია.

ზოგადად, ებრაული ფენომენის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია. ქართული კულტურა წარმოუდგენელია ებრაელი ხალხის, ებრაული ფენომენის გარეშე, ის ჩვენი განუყოფელი ნაწილიცაა. დღესდღეობით ძალიან დიდი ინტერესია ისრაელის მიმართ, სტატისტიკურად ძალიან დიდია მიმოსვლის მაჩვენებელი ჩვენს ქვეყნებს შორის. ბოლოს და ბოლოს, ისრაელი პირველი განვითარებული ქვეყანაა, რომელმაც კარი გაგვიღო და უვიზოდ შესვლის შესაძლებლობა მოგვცა. ეს რაც ზედაპირზე ძევს, თუმცა, ცხადია, არსებობს ღრმა შრეები, რაც ამ ინტერესს ასაზრდოებს, და ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და გამოვლენილი, თუმცა, ფაქტია, რომ ჩვენ ძალიან ბევრი რამ გავკავშირებს ერთმანეთთან, ისტორიული, კულტურულ-რელიგიური და სხვ. ასპექტებით. ცენტრს ჩვენ ვიყენებთ უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესისთვისაც. ასე, რომ მიზანი ამ ცენტრის შექმნის, არ ყოფილა ცალსახად კომერციული, უმეტესწილად ეს იყო მიზანი იმისა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, თეორიული და პრაქტიკული ნაწილი შეგვეთავსებინა ერთმანეთისათვის. ცენტრი ასევე წარმოადგენს საერთო ინტერესების მქონე ადამიანთა შეხვედრის ადგილს. იმართება საუბრები, დისკუსიები, მუშავდება ახალი გეგმები, პროექტები. ჩვენ გვსურს, რომ ისრაელის სასწავლო დაწესებულებებთან ერთად განვახორციელოთ სხვადასხვა ერთობლივი პროექტი, როგორიც იყო, მაგალითად, ბარ-ილანის უნივერისიტეტის ინიციატივით სექტემბერში ჩვენს უნივერსიტეტში გამართული საერთაშორისო კონფერენცია სათაურით „საქართველოს, კავკასიის და ცენტრალური აზიის ებრაელები“, რომელიც საკმაოდ მასშტაბური ღონისძიება იყო. მე არ ვცდილობ, რომ ეს ცენტრი იქცეს სრულიად დამოუკიდებელ ორგანიზმად, რომელიც შეეცდება სასწავლო ინიციატივების მხოლოდ საკუთარ თავზე აღებას, ან თავისი მოღვაწეობის დამოუკიდებელი აკადემიური ხაზით წარმართვას. ფაქტობრივად, ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესის ერთგვარ დანამატს. ეს ყველაფერი აცოცხლებს და ინტერეს სძენს ჩვენს საქმიანობას, ამ მიზნით შეიქმნა ეს ადგილი, და არა იმის გამო, რომ ძალიან ბევრი ფული გვეშოვა.

— ბატონო მამუკა შევეხოთ თქვენი, როგორც მთარგმნელის მოღვაწეობას, მე ვესწრებოდი „თანამედროვე ებრაული დრამატურგიის“ პრეზენტაციას, რომელიც თქვენს მიერ ითარგმნა ქართულ ენაზე...

— ეს წიგნი - თანამედროვე ებრაული დრამატურგია - ძალიან მოკლე პერიოდში, სახელდახელოდ ითარგმნა. რომ გითხრათ, ეს ყველაზე დიდი საქმეა, რაც აქამდე გამიკეთებია-მეთქი, მართალი არ იქნება. მოგესხენებათ, რომ გასული — 2014 წელი გამოცხადებული იყო ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის წლად. ამ პერიოდში სხვადასხვა პროექტი განხორციელდა, ბევრი წიგნი გამოიცა, ბევრი რამ ითარგმნა ჩემი აქტიური მონაწილეობით.

— მთარგმნელობითი მუშაობა დაკვეთით ხდება, თუ თქვენი სურვილის მიხედვით?

— ძირითადად, შეკვეთებია, ამა თუ იმ პროექტის ფარგლებში.

— რამდენი წლის წინ დაიწყო თქვენი მთაგმნელობითი მუშაობა და რა იყო თქვენს მიერ შესრულებული პირველი თარგმანი?

— გამიჭირდება იმის გახსენება, თუ როდის ვიგრძენი, რომ რაღაც შემიძლია ვთარგმნო. ებრაული ენის შესწავლა მეორე კურსზე დავიწყე, ხოლო ებრაულიდან თარგმნა მაშინ, როდესაც ენა ხეირიანად ჯერ კიდევ არ ვიცოდი. ჩემი პირველი თარგმანი იყო შმუელ იოსეფ აგნონის „აქამდე“, ავტობიოგრაფიული ხასიათის რომანი. ეს იყო პერიოდი (90-იანი წლები), როდესაც არანაირი საშუალება არ არსებობდა, მათ შორის ლექსიკონებიც კი. იმ დროს სახელმწიფო დაკვეთით იგეგმებოდა ნობელიანტების სერიის გამოცემა, რომელთა შორის მოიაზრებოდა შმუელ აგნონის, როგორც ერთადერთი ებრაულენოვანი ნობელიანტი მწერლის, რომანის გამოცემაც. დაუკავშირდნენ ცნობილ მთარგმნელს ჯემალ აჯიაშვილს, რომელიც უნივერსიტეტში ჩემი მასწავლებელი იყო ებრაული ლიტერატურისა. ჯემალ აჯიაშვილის გამხნევებამ მეორე კურსის სტუდენტს თარგმანზე მუშაობის დაწყება გამაბედვინა. საბოლოოდ ეს მცდელობა წარმატებით დამთავრა - რომანის ქართული თარგმანი გამოიცა.

— ამჟამად თუ მუშაობთ რაიმე წიგნზე ან პროექტზე?

— ვიდრე თქვენ მოხვიდოდით, ისრაელელი მწერლების წიგნის „შემოდგომა თბილისში“ თარგმანზე ვმუშაობდი...

— გითარგმნიათ თუ არა ქართულიდან ებრაულად?

— დიახ, ეს იყო ეროვნული მუზეუმისათვის ნათარგმნი ალბომი, უკანასკნელ დროს, როგორც მთარგმნელმა, მონაწილეობა მივიღე პროექტში „ქართლის ცხოვრება ბავშვებისთვის ებრაულ ენაზე“, სხვათა შორის, თარგმნილი მაქვს ასევე „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, ეს კონკრეტული შეკვეთა იყო ერთი ქალბატონისა, რომელსაც ქართული კულტურის ცენტრი აქვს თურქეთში. არც თუ დიდი ხნის წინ ისრაელში გამოდიოდა ერთი ებრაული გაზეთი, რომელიც ჯერ მოსკოვში იბეჭდებოდა რუსულად, შემდეგ ჩემთან იგზავნებოდა, მე ვთარგმნიდი ივრითზე და თარგმანს ისრაელში ვგზავნიდი. გარდა მხატვრული ტექსტებისა, ძალზე ხშირად მიწევს სპეციალური ლიტერატურის თარგმნა სხვადასხვა სფეროდან, მაგალითად, ვთარგმნე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის ისრაელის ადვოკატთა ასოციაციის საკანმომდებლო ბაზა, რომელიც საკმაოდ მოცულობითი იყო, და ასე შემდეგ, უამრავი სხვა რამ. მუდმივად ვთარგმნი, ეს ჩემი პროფესიაა, და, ცხადია, არაიშვიათად თარგმანები ქართულიდან ებრაულ ენაზე სრულდება.

— გმადლობთ!

ბათუმის ბეით ქნესეთი თემის საკუთრება გახდა

საქართველოს რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოში „ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის“ მესამე სხდომა გაიმართა. ამ სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე 33-ში მდებარე ბეით ქნესეთის (სინაგოგა) ნაგებობა ქალაქის ებრაულ თემს გადაეცეს. გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „კომისიამ განიხილა ბათუმის ებრაული თემის განცხადება ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. 33 განლაგებული სინაგოგის თაობაზე და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება“.

გარკვეული სამართლებრივი პროცედურის გავლის შემდეგ აღნიშნული რეკომენდაცია დაეგზავნება უფლებამოსილ ორგანოებს. — ნათქვამია სახელმწიფო სააგენტოს განცხადებაში.

მე ვხატავ სინაგოგებს

რეზო ემელიანე ადამია

სინაგოგების უცნაური და იდუმალი მხატვრული ფერსახე, ღრმა სიყვარულით გადამაქვს ფერწერულ ტილოებზე. ასევე პერიოდულად ვმუშაობ მეჩეთების სურათებზე, თუ ბუდისტურ სალოცავებზე. ხოლო ჩემი დედაეკლესიათა ხატვისას შინაგანად იმდენჯერვე ვიბადები, რამდენჯერაც მათ სურათად გარდავსახავ.

სინაგოგას, რომ ვაფერმწერებ მათში კოსმიურ უცხო ქარგას ვგრძნობ თავისთავადს. შერჩეული მოტივის მხოლოდ ეგზოტიკა და სილამაზე როდი მიზიდავს, არამედ რაღაც გამოუცნობ გარემოცვაში ვეხვევი და უხილავი სიყვარულითვე ფერწერულად ვასურათებ მათ...

მიუწვდომელი უფლის კანონებიდან გამომდინარე, ადამიანებმა ერთმანეთს, ღირსეული კეთილმიზნური პატივი უნდა მივაგოთ; თანმიმდევრულად ურთიერთის სალოცავებიც უანგაროდ უნდა გვიყვარდეს, როგორც ხელოვნების ნიმუშები, ასევე მათი რელიგიური იდეური მნიშვნელობაც... ამგვარად ხომ, ჩვენში მარადიულ ღვთიურ მცნებათა კეთილშობილებას უფრო გავაღრმავებთ.

სინაგოგებს მე, სულის მიზანსწრაფვის მეოხებით, მხატვრულ ტილოზე ფუნჯით და ფერებით ვეფერები...

1980-იანი წლებია, შემოქმედებითი და ისტორიული გათვითცნობიერების თვალსაზრისით გამიზნულ დღეს საგანგებოდ მოვინახულე სოფელ ბანძის დიდი სინაგოგა; მარტვილის რაიონი, მაშინდელი გეგეჭკორის. მანქანა, სინაგოგასთან ახლოს გზის პირას გავაჩერე და საშინელების ხილვით გაოგნებული გადმოვედი. რას ხედავს ჩემი თვალები, სინაგოგის ეზოს ღობე, მთლიანად დარღვეულია და მიწასთანაა გასწორებული. სალოცავის კარები ღიაა, შიგ პირუტყვი თავისუფლად შედის და დასეირნობს. ამდაგვარი სამარცხვინო სურათი როგორ დავხატო-მეთქი და უკიდურესად გავნერვიულდი. მაშინათვე დავქოქე მანქანა და რაიონის ცენტრში, აღმასკომის თავმჯდომარის ფაილოძის კაბინეტში გეახელით. ურთიერთმოკითხვის შემდგომ, მასპინძელს მივმართე, უპატიებელი სირცხვილი და საქვეყნოდ თავი მოგვეჭრა ქართველებს, ეს რა დღეშია ბანძის სინაგოგა, ამ ბოლო პერიოდში საერთოდ თუ მოინახულეთ ისტორიული ძეგლი-მეთქი; ამ დროს, ისრაელში ებრაელები ჩვენს სალოცავებს უფრთხილდებიან, ჩვენ კი? ამით დამთავრდა ჩვენი შეხვედრა (იმ წლებში ეროვნული მოძრაობის წევრი გახლდით და...) შემდგომ, როგორც გადმომცეს, მეორე დღესვე აკაციის მესერით და მავთულბადით შემოუკავებიათ სინაგოგის ეზო და მავთულბადითვე პატარა კარიც დაუკიდიათ. სალოცავის ძველებური კარები ბოქლომით ჩაუკეტიათ. იმ პერიოდში, რვა წლის განმავლობაში, ძველი სენაკის, მაცხოვრის დაბადების სახელობის მძიმედ დაზიანებული გუმბათოვანი ეკლესიის აღდგენა-კონსერვაციას ვხელმძღვანელობდი.

რამდენიმე დღის შემდგომ, ძველი სენაკიდან ისევ ჩავედი მრავალი საუკუნის მეგრელი ებრაელების მშობლიურ ბანძაში, იგივე მიზნით და სასიამოვნო შედეგით კმაყოფილმა, ჩვეულებრივზე უფრო ამაღლებული შემოქმედებითი განწყობილებით იმ დღესვე დავხატე უძველესი აგურის სინაგოგა და ხის მასალისგან გვიან მიშენებული, სეფიაშვილების საგვარეულო სალოცავი. მერე აირია ქვეყანა და თითქმის განადგურდა სამშობლო ჩვენი. საქართველოში სასიკვდილოდ დაერივნენ პატრიოტებს, უსათუოდ კომუნისტური შურისძიება იყო საშინელი. ძმამ ძმას ესროლა და სამოქალაქო ომის გაჩაღებით გაახარეს მეზობელი, უკიდეგანო სივრცის მქონე ქვეყანა. იმ უმძიმეს პერიოდში აჯიაშვილების საგვარეულო სინაგოგა-სალოცავი, თითქმის, მოიშალა. ღვთის ნებით, ის იმ სახით მუდმივად, ჩემს ფერწერულ ტილოსღა შემორჩა. სურათი ამჟამად ორმხრივი მნიშვნელობისა გახლავთ, უპირველესად ხომ მხატვრული ღირებულებისაა, მეორე კი, ისტორიული ფაქტია ებრაელი ხალხისა... (ნახატი ებრაელთა მუზეუმში ინახება).

მაშინ, როდესაც ეს მოვლენები ხდებოდა, სენაკში მეგობრული შეხვედრები მქონდა მშვენიერ ებრაელ გოგონასთან, გვარად წიწუაშვილთან. ძალიან განათლებული ადამიანი გახლდათ. ერთ მზიან დღეს, სენაკის ცენტრში, ბაღის წინ ვდგავართ, სადაც ფოტოგრაფები იკრიბებოდნენ. ვსაუბრობთ სხვადასხვა თემაზე ეპიზოდურად. მერმე თავისი ლამაზი, მშვიდი, სევდიანი, მოცისფრო თვალებით დამაკვირდა და მეკითხება — რეზო, გულწრფელად გამეცი პასუხი, ებრაელების მიერ სენაკის, ბანძის და საერთოდ საქართველოს დატოვებით როგორი გრძნობები გეუფლებაო. მე ჩემს მშვენიერ მეგობარ გოგონას დაუფიქრებლად ვუპასუხე, თითქოს და ჩემო კარგო, საქართველომ ერთ-ერთი ღვიძლი კუთხე დაკარგა სამუდამოდ-მეთქი, ზეციური ცრემლით აევსო მას ულამაზესი თვალები. მადლობელი ვარო მითხრა და დამშორდა... იმ დღიდან ის ასული არ შემხვედრია. ალბათ ოჯახთან ერთად წავიდნენ ისრაელში. აი, ესეც კოსმიური ტრაგედია ჩვენს თავზე...

სინაგოგათა ჩემეული ყურადღებითა და მათი ხატვით, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოსდა ჩემი დედა ეკლესიის, შემწყნარებლობის და კოსმიურ ჯანსაღ მთლიანობას თანდაყოლილად გამოვხატავდე. ჩვენს სულებს, მომავალში სამყაროს უძლეველი წესრიგი უთუოდ ღვთიურად გაერთიანებს, გამთლიანების და ადამიანურ თანდაყოლილ სისუსტეებს, კაცთა სასიკეთოდ ჩამოგვაცილებს. დროთა ჟამში ქვეყნის უკეთურმა ძალებმა ერთმანეთს დაგვაშორა და დაგვაპირისპირა თუ არა დედამიწა ბიბლიურ გაკვეთილად ყველა ჩვენგანს ხომ თავის ალალმართალ მკერდში ერთნაირად იხუტებს; რადგანაც პლანეტა ჩვენი წმიდათა წმიდა მთლიანობის პატრონი სხეულია უმტკიცესი სამყაროსი. მზე კი, ყოველ ნებისმიერ პლანეტელს თანაბრად სანუკვარ სიცოცხლეს ზეძალებით შთაბერავს. ისმის კითხვა, საიდან მოდის ან როგორ შემოგვრჩა თანამედროვეებს ეს კოსმიური სახის შემწყნარებლობა? უძველესი ადამიანები, დედამიწაზე მცხოვრებნი, მზის თაყვანისმცემლები, ეჭვსგარეშეა ჩვენზე ახლოს იყვნენ კოსმოსთან და მისტიკურად შორეული ინსტინქტებით ურთიერთობდნენ. თუმცა, ეპიზოდური ომები მაშინაც იყო სამწუხაროდ. ნებისმიერი ადამიანი გარკვეული პროცენტებით დაბადებიდან სატანის გენს ატარებს.

ვაი ჩვენი ცოდვა ის თუ ამოუძირკვავად ზის ჩვენში. ისევ და ისევ ამ თანდაყოლილი სენის მიმართ აღმსარებლობითმა უკომპრომისო აზროვნებამ უნდა გვიშველოს, რელიგია უებარი სულიერ-ზნეობრივი წამალი და მკურნალია ადამიანებისა, მასთან განშორება სიცოცხლის დაღუპვაა. უსიცოცხლოდ კი სიბნელეც საცოდავია. თუ რამე ომები და ურთიერთდევნები იყო ოდითგანვე დედამიწაზე, ეშმაკი და ნაწილობრივ ადამიანთა ინდივიდუალური უსასტიკესი უზნეობები მოქმედებდა.

მესამე ათასწლეული. წინ შორეული დროა. გავიხედოთ კოსმიურ უსასრულობაში მოარული ზეზნეობისაკენ. ვიაზროვნოთ უფრო სულიერად, ვიკვებოთ და ვიცხოვროთ ზეციდან მომდინარე უფლისმიერი ზნე-წესკანონებით. შედარებისთვის ერთ-ერთი უზარმაზარი მაგალითი მინდა მოვიყვანო, როგორც უდიდესმა კომპოზიტორმა ამადეო მოცარტმა კოსმიური სივრციდან ჩამოგვიტანა შემდგომ მოცარტისეულად გარდასახული გენიალური ბგერები და ჰანგები. კომპოზიტორის დონის სხვადასხვა მიმართულების ადამიანები, მაგალითისათვის გამოულეველი ოქროს საბადოა აინშტაინი, გამოჩნდებიან ჩვენი პლანეტის და მზის ჭეშმარიტი კანონ-წესრიგ წყობა, უნდა ჩაკირონ კაცთა ზნეობაში, ათი მცნების დონეზე. მჯერა ყოველივე, მომავალში, მოხდება აუცილებლად.

სულით უახლოესნო! უკიდურესად გვიყვარდეს ჩვენ-ჩვენი რელიგიები და პატივი ვცეთ ურთიერთისას. აი, მაშინ ეშმაკი განიდევნება ჩვენგანვე შევიწროებული და გაწამებული მარად მდუმარე პლანეტიდან...

მე ვხატავ სინაგოგებს სიყვარულით და არა მხოლოდ მათი სილამაზის ხათრით.

სინაგოგას მე აღვიქვამ ისე, როგორც უწყვეტ ცოცხალ კოსმიურ კაპილარს.

მეჩეთი, ეკლესია, ბუდისტური სალოცავი, სინაგოგა, თუ მრავალი სხვა რელიგიური კერები, სამყაროს ზნეობრივ სულიერი უძირო ფონდიდან, მომდინარე სრულყოფილი ზეციური ჭეშმარიტების სახეა. ისინი ხომ ადამიანებზე ბევრად ამაღლებულია და მათგან, სულით, გონებით და გულით დღენიადაგ ბავშვივით უნდა ვიკვებებოდეთ...

სატანა სამყაროს შავი ხვრელებიდან გამომავალი, ქვეყნიერების სუფთა — კოსმიური სივრცის დაჭუჭყიანებაა და ყოველ ჩვენთაგანმა უშიშრად, უშრეტი ძალებით უნდა ვებრძოლოთ როგორც ამ ქვეყნად, ასევე იმქვეყნიურობის მარადიულობაში...

რედაქციისგან: მკითხველს ვაუწყებთ, რომ ბანძის აჯიაშვილების ბეით ქნესეთი რესტავრირებული, აღდგენილი ფილანთროპ ბიძინა ივანიშვილის მიერ, კვლავ ხიბლავს მკითხველს

„ქართველი ებრაელების ისტორია და კულტურა“

ევრაზიის ებრაელთა კონგრესში გაერთიანებულმა მეცნიერ-მუშაკებმა და იუდაიზმის მასწავლებლებმა, გამოსცეს ახალი სამეცნიერო წიგნი, „ქართველი ებრაელების ისტორია და კულტურა“. კრებული აერთიანებს სტატიებს ქართველი ებრაელების ისტორიაზე, კულტურაზე, ეთნოგრაფიაზე. წიგნში ასევე აღწერილია ქართველ ებრაელთა განსახლების ადგილები, სადაც 2013 წლის მაისში ცენტრმა „სეფერი“ მოაწყო სასკოლო ექსპედიციები. ავტორებს შორის არიან კონსტანტინე ლერნერი, შოთა ბოსტანაშვილი, მარკ კუპოვეცკი და სხვა მკვლევარები. კრებული მდიდარია ილუსტრაციებით, მასში შესულია ექპედიციის მონაწილეთა ფოტოებიც. წიგნი გამოიცა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის დაფინანსებით. ერთერთი სტატიის ავტორი და პასუხისმგებელი რედაქტორი არის კონგრესის გენერალური მდივანი მიხეილ ჩლენოვი.

რონალდ ლაუდერი: აშშ უნდა გაუძღვეს...

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი რონალდ ლაუდერი გამოვიდა აშშ კონგრესის ქვეკომისიის სხდომაზე და ისაუბრა ევროპაში გავრცელებული ანტისემიტიზმის თაობაზე, რომ აშშ უნდა მოეგოს გონს და უსიტყვოდ დაგმოს რადიკალური ისლამის სიძულვილი ებრაელობის მიმართ.

ქვეკომისიის სხდომაზე რ. ლაუდერმა თქვა, რომ დაბრუნდა წინა საუკუნის 30-იანი წლები და დღეს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 70 წლის შემდეგაც, ევროპის ებრაელები შიშით ცხოვრობენო.

— ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს როლი—მას შეუძლია და უნდა გაუძღვეს ევროპაში მზარდ ანტისემიტიზმს და ებრძოლოს რადიკალური ისლამის ტერორს. ამერიკას შეუძლია და ვალდებულიცაა, უფრო მკვეთრად, მეტი მრისხანებით დაგმოს რადიკალური ისლამი,რომელიც აღვივებს ებრაელობისადმი სიძულვილს.

„თარბუთის“ ახალი პრეზიდენტი

22 მარტს ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთში გაიმართა კულტურულ-შემოქმედებითი საზოგადოება „თარბუთის“ პრეზიდენტის არჩევნები. შეკრებილებმა „თარბუთის“ პრეზიდენტად აირჩიეს გაზეთ „დავითის ფარის“გამომცემელი და მთავარი რედაქტორი სიმონ კრიხელი.

ვულოცავთ ბატონ სიმონ კრიხელს „თარბუთის“ პრეზიდენტად არჩევას და გამოვთქვამთ იმედს, რომ ბეით ქნესეთის ხელმძღვანელობის მხარში ამოდგომით, ბ-ნი სიმონ კრიხელის ორგანიზატორული ნიჭით „თარბუთი“ დაიბრუნებს საყოველთაოდ პატივისცემასა და ავტორიტეტს.

წიგნის პრეზენტაცია



24 მარტს, საჯარო ბიბლიოთეკაში წიგნის „ზოარის“ – „ვირების გამრეკი“-ს პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც კაბალას საერთაშორისო აკადემიის მიერ გამოიცა. ქართულ ენაზე მისი მთარგმნელი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სვიმონ სიმონიშვილია, თავად „ზოარის“ ამ გამოცემის ავტორი კი პროფესორი მიხეილ ლაიტმანი გახლავთ. წიგნი საზოგადოებას გია ჭანტურიძემ და ზვიად მჭედლიშვილმა წარუდგინეს. მათ წიგნის ისტორიაზე, „ზოარისა“ და „კაბალის“ შესახებ ისაუბრეს. „ზოარი“ ქართულ ენაზე ნათებას ნიშნავს, წიგნი დაახლოებით 2000 წლის წინ დაიწერა იმ ადამიანთა ჯგუფის მიერ, რომელიც აბრაამმა ჩამოაყალიბა ძველ ბაბილონში. ჯგუფს „ისრაელი“, „პირდაპირ შემქმნელისკენ“ ეწოდებოდა, წიგნის ავტორი ათი კაბალისტი იყო, რომლებიც „სრულ ერთიანობაში იმყოფებოდნენ უმაღლეს ძალასთან — შემქმნელთან“. თითოეული მათგანი სამყაროს ათი ფუძემდებლური პრინციპიდან ერთს წარმოადგენდა, სწორედ მათ მიერ შეიქმნა წიგნი „ზოარი“, რომელიც საუკეთესო საშუალებაა „აღუქმელის აღსაქმელად“. წიგნში საუბარია მხოლოდ სულიერი სამყაროს შესახებ. იგი წარმოადგენს „თანახის“ ერთგვარ განმარტებას. იგი საუკუნეების განმავლობაში რამდენჯერმე გამოიცა, თუმცა მიხეილ ლაიტმანის „ზოარი“ და წიგნების სერია „ვხსნით ზოარს“, ჩვეულებრივ მკითხველზეა ორიენტირებული. მისი შეძენა მსურველებს „ბიბლუსისა“ და „ლატერნას“ წიგნის მაღაზიათა ქსელში შეუძლიათ. სერიის „ვხსნით ზოარს“ ფარგლებში კიდევ რამდენიმე წიგნის გამოცემა იგეგმება.

როდესაც ზეცას დედამიწაზე დავამკვიდრებთ...



რას ნიშნავს ზეცის დედამიწაზე დამკვიდრება? ეს ანომალური მოვლენაა, თუ ის კანონზომიერება, რომელიც ცხოვრების წესის გარდაქმნას ითვალისწინებს?

ყველაფერ ამაზე და კიდევ ბევრი ერთობ სანტერესო საკითხებზე იპოვით პასუხს თუ გადაშლით ახლახან თბილისში გამოცემულ წიგნს „როდესაც ზეცას დედამიწაზე დავამკვიდრებთ...“

ეს არის რაბი მენახემ-მენდელ შნეერსონის 365 ნააზრევი. წიგნი შეადგინა ცვი ფრიმანმა. მთარგმნელი გახლავთ მიხეილ ხანანაშვილი, ლიტერატურული და ტექნიკური რედაქცია ბორის ფიჩხაძისა. ამ წიგნისათვის წინასიტყვაობა რეუვენ ენოხმა დაწერა. წიგნის გამომცემლები მიხეილ ხანანაშვილი და ბორის ფიჩხაძე ამ გამოცემას მშობლების ხსოვნას უძღვნიან.

საინტერესოა ამ გამოცემის რეუვენ ენოხისეული დახასიათება:

„უსაჭიროესი თარგმანი“ ასე ასათაურებს იგი თავის შესავალ ტექსტს.

შემდეგ კი წერს:

„ორიოდე სიტყვა თარგმანზეც. ბატონი მიხეილ ხანანაშვილი ისეთი ოსტატობით თარგმნის წიგნს, თითქოსდა მთელი ცხოვრება ამ საქმით იყოს დაკავებული და დიდი გამოცდილებაც ჰქონდეს. თარგმანი თავისუფლად მოჩქეფს, თუმც კი მთარგმნელი ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებად ჩაერიოს ტექსტში და ახლოს იყოს პირველწყაროსთან, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ქმნის რუსული ტექსტი, რომლითაც იგი სარგებლობდა. ყოველივე ამისთვის მას მდაბლად უნდა დავუხაროთ თავი და ვუსურვოთ, რომ არსთა გამრიგემ კვლავაც მისცეს მისი მრავალფეროვანი სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობა.“

ფ ე ს ა ხ ი

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

არიელ ლევინი

რაბი გედალია სპინადელის სტატიის მიხედვით

ფესახს (მთლიანად შემწვარ ცხვარს) ჩვენი მამები მიირთმევდნენ მხოლოდ ტაძრის არსებობის პერიოდში. რატომ? იმის სამახსოვროდ, რომ მათი სახლები გამოტოვა გამ-ნმა ეგვიპტელების პირველშობილთა დასჯისას. რაბან გამლიელი, ალბათ, იმის უფრო ღრმა ახსნას ელოდა, თუ რატომ მიირთმევდნენ ებრაელები ეგვიპტიდან გამოსვლისას ფესახს, მაცას და მწარე ბალახეულობას. მაგრამ რატომ მხოლოდ ამას? რატომაა ასე მნიშვნელოვანი, რომ მათი ხმიადები ყოფილიყო მხოლოდ წყლით და ფქვილით დამზადებული, რატომ მიირთმევდნენ ხორცს მწარე ბალახეულობით?

მაგრამ, ჯერ დავფიქრდეთ, რატომ ჰქვია მთელ საფესახო რიტუალს "სედერ" (წესრიგი) სალოცავი წიგნის "სიდურ"-ის ანალოგიით? აი, ჩემი აზრით, რას გვეუბნება ეს სიტყვა. მისი გემატრიაა (რიცხობრივი მნიშვნელობა) 264 და ის უდრის ფრაზის "და დაინახა (გამ-ნმა) რომ კარგია" გემატრიას. რა არის სედერი? გამ-ნისეული წესრიგი? რით განსხვავდება ის საწყისი ქაოსისაგან (ტოჰუ)? ამ გემატრიათა ტოლობა გვიჩვენებს იმას, რომ გამ-ნმა დაინახა, თუ რა კარგია "სიკეთე" (კეთილდღეობა).

ქმნიდა რა სამყაროს, გამ-ნი იმ წესრიგს აყალიბებდა, რომელიც შემდეგ ადამმა დაარღვია. მაგრამ, ფესახში ებრაელები, აბრაჰამის საქმეთა გამგრძელებლები იწყებენ ამ წესრიგის აღდგენას.

ფესახი ებრაელი ხალხის მეშვეობით სამყაროს მეორე, ჭეშმარიტი მოწესრიგებაა. მათი ამოცანაა პირველი ადამიანის ცოდვის გამოსწორება, კაცობრიობისთვის გამჩენისაკენ მავალი იმ გზის ჩვენებაა, რომლიდანაც ადამმა გადაუხვია და სიკეთისა და ბოროტების შეცნობის ხის, ამ სამყაროს ამაოების, უკან დაიმალა.

ამაშია თალმუდის კამათის აზრი იმის შესახებ, თუ როდის იყო პირველი (ჭეშმარიტი) როშ ჰაშანა (ახალი წელი) თიშრეს თვეში, ადამის შექმნისას, თუ ნისანში, როდესაც ებრაელმა ხალხმა პირველი მცნება მიიღო და ეგვიპტიდან გამოვიდა.

სედერი არის გამ-ნის წესრიგის დამყარების მცდელობა. მცდელობა იმისა, რომ სამყაროს გამ-ნის თვალით შევხედოთ და დავიწყოთ გამ-ნის ნების შესაბამისი ჭეშმარიტი წესრიგის დამყარება.

ფესახში გამ-ნმა მიიღო (კიბელ, კაბალა – გემატრია 132) ებრაელი ხალხი და თავის ხალხად აქცია. ჩვენ კი მივიჩნიეთ გამ-ნი (132) ჩვენ ღ-თად. ამ ურთიერთმიღებას ეწოდება სწორედ სედერი, რომლის გემატრიაა 264, ანუ ორჯერ 132.

ახლა რაბან გამლიელის სამ გაგებას მივუბრუნდეთ.

სიტყვას "ფესახ" კომენტატორები ორ ნაწილად ყოფენ: "ფე" და "სახ" – ბაგეები ამბობდნენ. გამ-ნმა ბრძანა და ხსნაც მოვიდა. როდის მოხდა ეს? მაშინ, როდესაც ებრაელებმა მსხვერპლი შეწირეს და მისი სისხლი სახლებში კარის კარისთავებს წაუსვეს, რითაც საკუთარი ქონება გამოისყიდეს; დაღვარეს საკუთარი სისხლი წინადაცვეთის რიტუალის შესრულებით. როგორც წინასწარმეტყველმა გვითხრა: "შენს სისხლში იცხოვრე, შენს სისხლში იცხოვრე". ეს სიტყვები ახლა ყველა წინადაცვეთის დროს წარმოითქმის.

სიტყვა "ფესახ" შეიძლება სხვაგვარადაც წავიკითხოთ: "პას ხეტ" – რვის ხაზი? რადგანაც წინადაცვეთა სწორედ დაბადებიდან მერვე დღეს კეთდება.

გამ-ნთან ორმაგმა კავშირმა, რომელიც "სისხლით იყო ხელმოწერილი" ორი სუბიექტი – შემოქმედი და მისი ხალხი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე დაავალდებულა. ამაზე მიგვანიშნებს სიტყვა "ფესახ", რომლის გემატრიაა 148. მისი ნახევარი 74 კი სიტყვის "ყედ" – მოწმე — გემატრიაა. ფესახის სედერი და თავად დღესასწაული ხომ ებრაელი ხალხის მიერ გამ-ნის ძალაუფლების, სამართლიანობის და გულმოწყალების დადასტურებაა. ისინი ამას ამოწმებენ გამ-ნის, საკუთარი თავისა და სხვა ხალხების წინაშე. ტყუილად ხომ არ უწოდებენ ებრაულ თემს ებრაულად "ყედა" – მოწმეთა თემი". ეს იმის დამოწმებაა, რომ გამ-ნი არის, ის არასოდეს მიგვატოვებს და აგრძელებს სამყაროს მართვას. მეორეს მხრივ, თავად გამ-ნია ებრაელი ხალხის მოწმე.

რაზე მიგვანიშნებს მაცა? რატომ დგას ასეთი უმნიშვნელო რამ იმის შესახებ, რომ ცომმა ვერ მოასწრო გაფუება იმ უდიდეს სასწაულებზე მაღლა, რაც ეგვიპტიდან გამოსვლისას ხდებოდა?

ეგვიპტე ხომ "მონობის სახლია". მისი ხალხის დამონების ამბავი გამ-ნმა აბრაჰამს აუწყა. დილის ლოცვებში გამ-ნს ვემადლიერებით იმაზე, რომ მონებად არ შეგვქმნა. სხვაგვარად ვერ გავხდებოდით მისი ხალხი, რომელიც მისსავე ნებას მისდევს.

მაცა სულიერ განთავისუფლებაზე მიგვითითებს, იმის მზაობაზე, რომ მატერიალურ სიკეთეს შევწირავთ თავისუფლებისათვის. ფესახის ღამით ხომ ებრაელები მზად იყვნენ დაუყოვნებლივ შეესრულებინათ მცნება და არ ეფიქრათ მატერიალურ სიკეთეებზე, სარჩოზე მომავალში. ისინი შინაგანად განთავისუფლდნენ დამპყრობელთაგან და გამ-ნს მიენდნენ. ამიტომაც უწოდებს თორა ამ დღესასწაულს "მაცის დღესასწაულს" – ხაგ ჰამაცოთ. მაცის გემო გამოაცოცხლებს ჩვენში იმას, რომ უპირობოდ გავყვეთ გამ-ნს, ჩვენს მხსნელს.

სიტყვის მაცა გემატრიაა 135. ასეთივე გემატრია აქვს სიტყვას "კალა" – მსუბუქი. იმ ღამით ებრაელები ძალიან ადვილად წამოდგნენ და განთავისუფლდნენ. ბრძენი იეჰუდა ბენ ტეიმა (ავოთ 5:20) გვეუბნება: "ზეციური მამის ნების შესრულებისას იყავი არწივივით მსუბუქი".

კიცურ შულხან ყარუხი გვეუბნება, რომ მცნების სასწრაფოდ შესრულებისაკენ ლტოლვა ადამიანის გაღვიძებისას ხდება და ეს ერთ-ერთი მთავარი თვისებაა ებრაელში.

თუ სიტყვის მაცა გემატრიას ერთს დავუმატებთ, მივიღებთ სიტყვის "ქოლ" – ხმა გემატრიას. ებრაელებმა თავისუფლება მოიპოვეს მაშინ, როდესაც ხმა, თავისუფლების სიმბოლო, აღიმაღლეს და გამ-ნს შეჰღაღადეს განთავისუფლებაზე. მაშინ მოვიდა თავისუფლება და გამ-ნის პასუხი სინას მთაზე, მისი ხმა, რომელმაც ებრაელებს თორისაკენ, სიცოცხლის ხისაკენ გაუხსნა გზა.

თუ მარორი მხოლოდ ეგვიპტეში ტანჯულ, მწარე ცხოვრებაზე მითითებაა, ღირდა მისი ხსენება აგადაში? ცხოვრება ხომ საერთოდაც არაა ია-ვარდებით მოფენილი, განსაკუთრებით ებრაელებისათვის? რასთან ასოცირდება მარორის სიმწარე ადამიანის შეგრძნებაში? უფრო სიკვდილთან, ვიდრე სიცოცხლესთან. აგადა გვეუბნება, რომ ყოველ თაობაში გვყავს მტრები, რომელნიც ჩვენს განადგურებას ლამობენ. ამაზე მიუთითებს ჩემი აზრით, სიტყვის მარორ გემატრია, რომელიც უტოლდება სიტყვის "მუტ" – სიკვდილი გემატრიას და 446-ს შეადგენს. ფარაონი ჩვენს ახალშობილებს ხოცავდა და იაკობის შთამომავალთა განადგურება სურდა. ამ სიკვდილისგან გვიხსნა გამ-ნმა! მწარე, ტანჯული სიცოცხლე – ეს სიკვდილისაგან თავის დაღწევის კურთხეული გემოა. სანამ ცოცხლები ვართ ვიწვნიოთ სიმწარე, რათა შევიგრძნოთ გამ-ნის წინაშე მადლიერება. შემდგომში ხომ ყველაფერი ებრაელთა გადარჩენით დასრულდა. "ტომ" – დასასრულია ეგვიპტელთა ცემულობებისა და მათი დაღუპვაა. ებრაელთა მწარე ბედი გადატრიალდა, შებრუნდა. იმიტომ, რომ ებრაელი ქალები იყვნენ სუფთანი და უმანკონი და გამ-ნის შიში ჰქონდათ.

შესაძლოა რაბან გამლიელის ყურადღება ამ სამი სიტყვის ფესახ, მაცა, მარორ მიმართ იმასაც გვიხსნის, თუ რა აქვს მხედველობაში "აგადას", როდესაც ფესახის სამ მთავარ გმირს მოშეს, მირიამსა და აჰარონს საერთოდ არ ახსენებს. სახელი მირიამ წარმოსდგება სიტყვისაგან "მარ" – მწარე. ჰარონი დაკავშირებულია ფესახის მსხვერპლთან. სწორედ ქოენების მოვალეობაა გამ-ნისადმი მსხვერპლის შეწირვა. მოშე რაბეინუ კი მაცასთან ასოცირდება. მაცაზე წარმოსთქვამენ კურთხებას "მოცი" – ამომყვანი. ფარაონის ქალიშვილმაც ხომ ასე დაარქვა მოშეს სახელი – „წყლიდან ამომყვანი". თუ მოშე რაბეინუს სახელის ასოებს გადავაადგილებთ, მივიღებთ გამ-ნის სახელს "ჰაშემ". ეს ის სახელია, რომელსაც უდიდესი წინასწარმეტყველი მოშე წარადგენდა მაქსიმალურად.

მინდა მოგილოცოთ ფესახი, გისურვოთ ქაშერი და მხიარული დღესასწაული, მშვიდობა და ჯანმრთელობა!

საუბარი არჩევნების წინ

მალე თბილისის ქართველ ებრაელთა დიდ ბეით ქნესეთში (სინაგოგა) გაბაის (მმართველი) აირჩევნები ჩატარდება.. არჩევნებთან დაკავშირებით „მენორა" საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ტატიკიშვილს ესაუბრა.

— ბატონო დავით, რა პროცესშია არჩევნებისთვის მზადება? ცნობილია, თუ არა არჩევნების თარიღი და კანდიდატები?

— არჩევნები გაიმართება 26 აპრილს, თბილისის დიდ სინაგოგაში, კანდიდატები ამ დროისათვის გამოკვეთილნი არ არიან, რადგან მხოლოდსულ ახლახან დაიწყო განაცხადების შემოტანა.

— როგორია საარჩევნო პრინციპი, ვის შეუძლია არჩევნებში წამოაყენოს თავისი კანდიდატურა და ვის აქვს ხმის მიცემის უფლება?

— კანდიდატი უნდა იყოს მორწმუნე ებრაელი. საჭიროა იყოს ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოვებული, ენერგიული პიროვნება, ვინაიდან სინაგოგის მმართველს ძალიან ბევრი საორგანიზაციო საკითხის გადაწყვეტა უწევს. ამიტომ უნდა იყოს კარგი მენეჯერი. როგორც უკვე აღვნიშნე, განაცხადების შემოტანა უკვე დაიწყო, საბუთების მიღება 21 აპრილს, 20:00 სთ-მდე გაგრძელდება. განაცხადებს განიხილავს საარჩევნო კომისია და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას გაბაის არჩევნებში მონაწილე კანდიდატებთან დაკავშირებით.

— როგორ შეაფასებთ დღევანდელი გაბაის მმართველობის პერიოდს და მოღვაწეობას?

— დღევანდელი გაბაი (მმართველი) მერაბ ჩანჩალაშვილი, კარგად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას, სინაგოგის ქვემდებარე საკითხებს. დღეისათვის სინაგოგაში ფინანსური პრობლემები არ არის. იგი ორი წლით იყო არჩეული, აქვს თუ არა სურვილი კვლავაც იყაროს კენჭი, ჩემთვის უცნობია, თუმცა, მას ამის ლეგიტიმური უფლება აქვს.

— გაბაის ამჯერადაც 2 წლის ვადით ირჩევთ?

— წინა არჩევნებზეც მე გახლდით კომისიის თავმჯდომარე, მაშინ გაბაი 2 წლის ვადით ავირჩიეთ, და გადავწყვიტეთ ერთი ვადის შემდეგ კიდევ ჰქონოდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ამჯერად 3 წლის ვადით ვირჩევთ, რადგან, ვთვლით რომ 2 ძალიან მცირე ვადაა. ვფიქრობთ, სამი წელი უფრო დიდი ასპარეზია სამოქმედოდ. საარჩევნო კომისია უცვლელი შემადგენლობითაა წარმოდგენილი, კომისიის წევრები კომპეტენტური ადამიანები არიან ესენია: რაფო ათანელოვი, ედუარდ პალაგაშვილი, იაშა ქოსაშვილი, და მე — კომისიის თავმჯდომარე დავით ტატიკიშვილი. წინა არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა, არავითარი პრეტენზია არ გამოთქმულა, ყველაფერი, წესების დაცვით მოხდა, ხალხმა აირჩია პიროვნება, რომელმაც სინაგოგის საქმე სწორად და წარმატებით წარმართა. იმედი მაქვს, ამჯერადაც ყველაფერი მშვიდად და წარმატებულად ჩაივლის. არჩევნებით დაინტერესებულნი არიან და თვალ-ყურს ადევნებენ ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელები, რათა ყველაფერი სამართლიანად ჩატარდეს.

— გარდა ფუნქციონალური დატვირთვისა, რა იდეური მოვალეობები აკისრია გაბაის?

— იდეურ მოვალეობებს სინაგოგაში ასრულებენ რაბინები და ხახმები, გაბაი განაგებს ასე ვთქვათ, სამეურნეო ნაწილს. მისი ფორმალური და არაფორმალური მოვალეობები ფართოა. ესაა: ღონისძიებების დაგეგმვა, სინაგოგის, საფლავების მოვლა-პატრონობა, მიუსაფარ ებრაელებზე ზრუნვა, სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა, ფინანსური საკითხების მოგვარება. აღსანიშნავია, რომ მთელი ფინანსური ნაკადი გაბაის ხელშია, ამიტომ განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭირო, რომ თანამდებობაზე არჩეულ იქნას პატიოსანი პიროვნება.

აქვვე მინდა ძალიან დიდი მადლობა გამოვთქვა სახელისუფლებო ორგანოების მიმართ, რომელთაც საქართველოში მოქმედ 4 კონფესიას და მათ შორი, იუდაისტურს გამოუყვეს საკმაოდ სოლიდური თანხა.

— თუ არის რაიმე ასაკობრივი შეზღუდვა კანდიდატებზე, ან მათ რაოდენობაზე?

— ასაკობრივი შეზღუდვა არ არის, არც რაოდენობრივი, კანდიდატი უნდა იყოს სრულწლოვანი მამაკაცი, რაც შეეხება პიროვნებებს, ფაქტიურად ჩვენ ყველა მათგანს თითქმის პირადად ვიცნობთ. კანდიდატები უნდა იყვნენ მორწმუნე ებრაელები, უნდა იცავდნენ შაბათს, ებრაულ ტრადიციებსა და იმ წესჩვეულებებს, რომლის დაცვა სავალდებულოა ყველა ებრაელისთვის განურჩევლად მისი თანამდებობისა. სხვათაშორის, ჩვენ გვაქვს ასეთი წესი არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ გაბაი უნდა წარსდგეს ჯამაათის წინაშე და წარადგინოს ანგარიში, თუ რა გააკეთა და რის გაკეთებას გეგმავს. აქედან გამომდინარე, არის იმპიჩმენტის საშუალებაც; თუ ხალხმა დაინახა, რომ ის წარმატებით ვერ ასრულებს მოვალეობას, ჯამაათს შეუძლია დააყენოს იმპიჩმენტის საკითხი.

— ბატონო დავით, რას გვეტყვით თქვენს შესახებ? გარდა აღნიშნული თანამდებობისა — საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობას ვგულისხმობ, კიდევ რით ხართ დაკავებული?

— როგორც უკვე გითხარით, კომისიას უკვე მეორედ ვხელვძღვანელობ, ვინაიდან ხალხმა მეორედ დამაკისრა ეს მოვალეობა, მათ კომპეტენტურ სანდო და სამართლიან ადამიანად ჩამთვალეს. ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში (დროის ფაქტორს ვგულისხმობ) ვმონაწილეობ სხვადასხვა ღონისძიებებში, ვიღებ ფინანსურ, იდეოლოგიურ წვლილს ყოველგვარი აფიშირების გარეშე. სასურველია, ყველა პიროვნებამ გამოხატოს პატივისცემა თავისი ეროვნების მიმართ, არამარტო საუბრით, არამედ პირველ რიგში, საქმით. ამ დროისათვის ვმუშაობ სამედიცინო პროექტზე. ქართველ ბიზნესმენებთან და პროფესორ, აკადემიკოს კოტე მარდალეიშვილთან ერთად, ვაშენებთ კლინიკას „სხივური მედიცინის ცენტრი". ამჟამად ამ საქმით ვარ დაკავებული. ვიმედოვნებ, რომ შემოდგომაზე გვექნება კლინიკის პრეზენტაცია.

— წარმატებებს გისურვებთ!

— გმადლობთ.

ესაუბრა თაკო აბესაძე

არჩევნების შედეგით გაღიზიანებული ბარაკ (ჰუსეინ) ობამა

თეთრი სახლი პალესტინას 1967 წლის საზღვრებში აღიარებს

პრეზიდენტი ბარაკ (ჰუსეინ) ობამა გაღიზიანებული და იმედგაცრუებულია იმის გამო, რომ ბენიამინ ნეთანიაჰუსა და პარტია ლიკუდს ისრაელის მოსახლეობამ ლამის მასობრივი მხარდაჭერა გამოუცხადა. ამიტომ აპირებს გადადგას შესაბამისი ნაბიჯები, რომლებიც დაასუსტებს ისრაელის სახელმწიფოს საერთაშორისო არენაზე.

ამ თემაზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში საუბარია პრეზიდენტ ობამას და ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს შორის, ურთიერთობების გაფუჭების თაობაზე. როგორც აღნიშნავენ, ეს მოხდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ ნეთანიაჰუ არჩევნებს მოიგებდა.

არჩევნებს დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ თეთრ სახლში.

ნეთანიაჰუმ არჩევნები აგრესიული წინასაარჩევნო პროგრამით მოიგო, იგი გამოვიდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნის, და ობამასა და ირანს შორის პოტენციური ეგრეთ წოდებული „ბირთვული გარიგების“ წინააღმდეგ.

სავსებით ნათელია, რომ ამჟამად კითხვა, შეძლებს თუ არა ამერიკის პრეზიდენტი და ისრაელის პრემიერ-მინისტრი დაალაგონ ურთიერთობები, დღის წესრიგიდან მოხსნილია.

თეთრმა სახლმა უპრეცედენტოდ გააკრიტიკა ნეთანიაჰუს წინასაარჩევნო პროგრამა, განსაკუთრებით კი მისი მოწოდება ებრაელებისადმი, რომ მივიდნენ ხმის მისაცემად, რათა გადააჭარბონ არაბ ამომრჩევლებს.

ობამას ადმინისტრაცია ამ ფაქტს ნეთანიაჰუს მხრიდან აფასებს, როგორც ისრაელის არაბი მოქალაქეების შევიწროვებას.

ნეთანიაჰუ პალესტინური სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგია. თეთრი სახლის ჩინოვნიკების განცხადებით, ობამას უკვე შეუძლია მხარი დაუჭიროს გაეროს რეზოლუციას „ორი სახელმწიფო ორი ხალხისთვის“

საგარეო საკითხებში ამერიკელი ექსპერტების უმეტესობა ამბობს, რომ ისრაელს მოუწევს დათმოს ტერიტორიების დიდი ნაწილი, რომელთა ოკუპაციაც ექვსდღიანი ომის დროს მოახერხა, რათა შეინარჩუნოს ებრაული დასახლებები მდინარე იორდანეს დასავლეთით.

* * *

ისრაელის ტელევიზიის მე-9 არხის ინფორმაციით, არჩევნების მომდევნო დღეს, ისრაელის დროით ღამის 11 საათზე ბარაკ ობამამ დაურეკა ბინიამინ ნეთანიაჰუს და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. ამასთან ობამამ დასძინა, რომ იგი მომხრეა პალესტინის სახელმწიფოს შექმნისა და ირანთან ბირთვული შეიარაღების საკითხზე ხელშეკრულების დადებისა.

ნეთანიაჰუ და ობამა შეთანხმდნენ განაგრძონ თანამშრომლობა სამხედრო და სადაზვერვო სფეროში.

ჯონ კერიმ კომენტარი არ გააკეთა ისრაელში არჩევნების შედეგებზე

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ უარი განაცხადა ეპასუხა ჟურნალისტების შეკითხვაზე ისრაელში ჩატარებული არჩევნების შესახებ, სადაც პარტია ლიკუდმა და ბენიამინ ნეთანიაჰუმ გაიმარჯვეს.

კითხვა არჩევნების შესახებ ჯონ კერის დიდი შვიდეულის შეხვედრის შესვენების დროს დაუსვეს, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში მიმდინარეობდა.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარიზა აფაკიმ კი განაცხადა, რომ ისლამური სახელმწიფოს ლიდრები ვერ ხედავენ განსხვავებას სიონისტური რეჟიმის გამტარებელ პარტიებს შორის, რადგან ისინი ყველანი ოკუპაციას და პალესტინელი ხალხის შევიწროების პოლიტიკასახორციელებენ.

ზარალის თაობაზე

ისრაელის ბანკმა გამოქვეყნა დასკვნა, რომელსაც ქვია „საომარი მოქმედებების გავლენა ეკონომიკურ აქტივობებზე“.

მოხსენებაში საუბარია იმაზე, რომ საომარი მოქმედების დროს, ღაზაში ეკონომიკას მიადგა დაახლოებით 3.5 მილიარდი შეკელის ზარალი.

ამ პერიოდის განმავლობაში, ისრაელის ტურისტულმა, სფერომ 2 მილიარდი დოლარის ზარალი მიიღო.

ავსტრიის თეატრმა უარი განაცხადა სპეკტაკლის მიღებაზე

ებრაულმა სტუდენტურმა ორგანიზაციამ „ჰილელმა“ თხოვნით მიმართა სიდნეის თეატრს შენობის დაქირავებასთან დაკავშირებით, ამ შენობაში უნდა ჩატარებულიყო გამოსვლები ჰოლოკოსტთან დაკავშირებულ თემებზე. თეატრის წარმომადგენლები თხოვნას ელექტრონული ფოსტის საშუალებით გამოეხმაურნენ: „ჩვენი პოლიტიკაა მხარი არ დავუჭიროთ კოლონიალიზმს/სიონიზმს. ამის გამო ჩვენ ვერ მივიღებთ ორგანიზაციას, რომელიც მხარს უჭერს პალესტინის ოკუპაციას.“

შედეგი არ გამოიღო არც პოლიტიკოსების დაკავშირებამ თეატრთან. ისინი ადასტურებდნენ, რომ „ჰილელი“ არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია.

ბრიტანეთის უნივერსიტეტში ისრაელის სახელმწიფოებრიობა ეჭვქვეშ დააყენეს

საუთჰეპტონის უნივერსიტეტში, გადაწყვიტეს გაიმართოს სამმიტი, რომელზეც იმსჯელებენ ისრაელის სახელმწიფოს არსებობის კანონიერებაზე.

კონფერენცია ჩატარდება 2015 წლის 17-დან 19 აპრილის ჩათვლით საუთჰემპტონში. სამმიტზე დასწრებას გეგმავს პრისტონის უნივერსიტეტის პროფესორი, გაეროში პალესტინაში ადამიანის უფლებების თაობაზე ყოფილი მომხსენებელი რიჩარდ ფალკი. კონფერენციაზე ასევე ჩამოვა ექსტერის უნივერსიტეტის მეცნიერი გადა კარმი, რომლის ნათესავებსაც 1948 წელს, ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას, პალესტინის დატოვება მოუხდათ.

კონფერენციის გამართვის მოწინააღმდეგეებმა change.org-ზე გამოაქვეყნეს პეტიცია სამმიტის წინააღმდეგ, პეტიციას უკვე 5000 მომხრე ჰყავს. სამმიტის მოწინააღმდეგეებმა განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერდნენ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის განხილვას, თუმცა, მათი თქმით, ეს არის „ანტისემიტური“ კონფერენცია, რომელიც არ ჯდება საუნივერსიტეტო დებატების ფორმატში.

„ისრაელს ადანაშაულებენ იმ ფაქტის გამო, რომ არსებობს. სხვა არცერთ სახელმწიფოს მიმართ არ გამოყენებულა მსგავსი რიტორიკა. სამმიტი საუთჰემპტონის უნივერსიტეტში, ეს არ არის კონფერენცია, ეს უფრო სასამართლო პროცესის ინსცენირებას გავს“ — ნათქვამია პეტიციაში.

ბევრი მიიჩნევს, რომ ბრიტანეთის უნივერსიტეტში დაგეგმილი სამმიტი გახდება ანტისემიტიზმის პალტფორმა: ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა მარკ ჰობანმა სამმიტს პროვოკაციების კონფერენცია უწოდა, ხოლო მეორე მოწინააღმდეგემ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ჯონ რიჩმონდმა დასძინა, რომ „პირველად მას და სხვა ბრიტანელ ებრაელებს ეშინიათ საკუთარი უსაფრთხოების.“

მიუხედავად ამისა, ორგანიზატორები, რომელთა შორის ებრაელებიც არიან, გვარწმუნებენ, რომ „სამმიტი გახდება ნოვატორი ისტორიულ მოვლენებში და გზა იმისა, რომ დამყარდეს სამართლიანობა პალესტინაში“.

„უნივერსიტეტმა უნდა მოიწვიოს, როგორც პალესტინისასევე ისრაელის მხარდამჭერები,,“ თვლის დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანი დიასპორის საკითხებში ერიკ პიკლზი. მან ასევე დაამატა, რომ „სამართლიან საუნივერსიტეტო დებატებსა და ისრაელზე ჩვეულებრივ თავდასხმას შორის, რომელიც ხშირად ნამდვილ ანტისემიტიზმში გადაიზრდება, ძალიან მცირე ზღვარი გადის.

ბოლო პერიოდში დიდი ბრიტანეთის მთავრობა ცდილობს აღკვეთოს უნივერსიტეტებში რადიკალურად განწყობილი მომხსენებლების გამოსვლები.

ბრიტანეთის მთავრობა: 11 მილიონი ფუნტი ებრაული დაწესებულებების დასაცავად

—100-ზე მეტი კერძო ებრაული სკოლისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნება 7 მილიონი ფუნტი, 3 მილიონი კი სინაგოგების დასაცავად“. განაცხადა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ ქემერონმა სადილზე, რომელსაც 1300 სტუმარი ესწრებოდა. ამის გარდა, მთავრობა გადაიხდის 1.5 მილიონს ინოვაციური ცენტრის ასაშენებლად, რომელსაც ექნება საკუთარი ავტონომიური სატელევიზიო ქსელი.

— იმ დროს, როცა ევროპის ებრაული საზოგადოება ისევ გრძნობს საფრთხეს, ხოლო ანტისემიტიზმი დიდ ბრიტანეთში რეკორდულ ნიშნულზეა, მე განზე ვერ გავდგები. მე არ მოვახდენ საფრთხეების იგნორირებას, რომელიც დგას ებრაელების წინაშე. თუ ებრაული საზოგადოება ვერ გრძნობს თავს დაცულად, ამას მთელი საზოგადოება განიცდის. ებრაელები არიან დემოკრატიულობის და ინსტიტუციონალური სიძლიერის ნაწილი. ებრაელები იცხოვრებენ უსაფრთხოდ ჩვენს ქვეყანაში და უფრო მეტად განვითარდებიან — განაცხადა დევიდ ქემერონმა ღონისძიებაზე.

იტალიელი ებრაელების 21% რეპატრიაციაზე ფიქრობს

ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, 21% იტალიელი ებრაელი ფიქრობს რეპატრიაციაზე. დაახლოებით იტალიელთა 30% საზოგადოების წევრებისა ფიქრობს, რომ ურთიერთობა ებრაელებთან ბოლო 5 წლის მანძილზე გაურესდა რის პროპორციულადაც გაიზარდა ანტისემიტური შემთხვევების რაოდენობა. გამოკითხულთა მესამედი აცხადებს, რომ მათ შეწყვიტეს იუდაიზმის ისეთი სიმბოლოების გამოყენება როგორებიცაა დავითის ვარსკვლავი კიპა, მეზუზა. გამოკითხულთა 20% პირადად გახდა ანტისემიტიზმის მსხვერპლი — იუწყება Jewish.ru-i Jerusalem Post-ზე დაყრდნობით, თუმცა, გამოქვეყნებული მონაცემების ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ ანტისემიტიზმის დონე იტალიაში სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით გაცილებით დაბალია.

ოფიციალური მონაცემებით, იტალიაში დაახლოებით 25 000 ებრაელი ცხოვრობს, უმეტესი მათგანი რომსა და მილანში. საზოგადოების მთავარი პრობლემა შობადობის დაბალი და ასიმილაციის მაღალი მაჩვენებელია, რის გამოც ებრაული საზოგადოების 70 % არ ფიქრობს ქვეყნის დატოვებას. ამ კვირაში გამოქვეყნებული გამოკითხვა ჩატარდა 2012-2013 წლებში, ყველა ევროპული ქვეყნის ებრაულ საზოგადოებაში.

დიდი შენაწირი

ოსვენციმის ბანაკის განთავისუფლების 70-ე წლისთავზე ფონდმა „საფრა“-მ, რომლის ხელმძღვანელი არის ლილი საფრა, მემორიალის ადმინისტრაციას 1 მილიონი ევრო გადასცა, რათა შეინარჩუნონ მემორიალის სახე, არტეფაქტები და ხელოვნების ნიმუშები. ლილი საფრამ, ფონდის თავმჯდომარემ განაცხადა: „პირადი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ოსვენციმის ბანაკის მონახულება შეიძლება გახდეს სულიერი განწმენდის წინაპირობა, ჩვენ უნდა გვახსოვდეს ჰოლოკოსტი და ისე აღვზარდოთ მომავალი თაობა“.

ედმონდ და ლილი საფრა იყვნენ „ცოცხალთა მარშის“ ინიციატორები, რამაც მემორიალზე 1988 წლის შემდეგ 200 000 მეტი სტუდენტი მიიყვანა. მარშს აწყობდნენ ყოველწლიურად, ეს გახლდათ ერთგვარი მოწოდება დედამიწის მოსახლეობისთვის, რომ აღარასდროს განმეორდეს მსგავსი ტრაგედია.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003